ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №20

ქ. ბათუმი 24 იანვარი, 2019 წ.

ერთის მხრივ, აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება-საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი - წარმოდგენილი უფროსის მოვალეობის შემსრულებლის რაულ ბერიძის სახით, შემდგომში „შემსყიდველი“, მეორეს მხრივ შ.პ.ს. „გზები“ - წარმოდგენილი დირექტორის ირაკლი აბაშიძის სახით, შემდგომში „მიმწოდებელი“, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ” ქვეპუნქტის შესაბამისად დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ხულოს მუნიციპალიტეტში ს/გზა "ხულო-ძირკვაძეები» კმ2+330-კმ3+215 მონაკვეთზე ასფალტბეტონის საფარის მოწყობის (NAT180019210, 06.12.2018 წ, CPV კოდი-45200000, 45233222 -) ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე შესყიდვა.

- შემდგომში „სამუშაო”-

1.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით შეადგენს: 436 419.78 (ოთხასოცდათექვსმეტიათას ოთხასცხრამეტი ლარი, 78 თეთრი) ლარს.

მუხლი 2. ანგარიშსწორების წესი

2.1. მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ ლარებში ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

2.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება კონკრეტული ეტაპით სრულად გათვალისწინებულ სამუშაოებზე, ხელშეკრულების შესაბამისად გაფორმებული სამუშაოს შესრულების აქტის-ფორმა #2, ანაზღაურების სერთიფიკატის-ფორმა #3, შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან არაუგვიანეს **10 სამუშაო დღის განმავლობაში.** ასევე შესაძლებელია ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდეს მომდევნო ეტაპით გათვალისწინებულ წინსწრებით სრულად ან/და ნაწილობრივ შესრულებულ სამუშაოებზე, ხელშეკრულების შესაბამისად გაფორმებული სამუშაოს შესრულების აქტის-ფორმა #2, ანაზღაურების სერთიფიკატის-ფორმა#3, შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან არაუგვიანეს **10 სამუშაო დღის განმავლობაში.** ზემოთაღნიშნული დოკუმენტაციის წარმოუდგენლობა ან/და ხარვეზით წარმოდგენის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

2.3 მიმწოდებელი ანგარიშსწორებისას ვალდებულია წარმოადგინოს, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების (დამატებული ღირებულების გათვალისწინებით) ღირებულება საანგარიშო პერიოდისა და ნაზარდი ჯამის ჩვენებით.

2.4. შესრულებული სამუშაოს ხარისხის დაცვის მიზნით შემსყიდველის მიერ დაკავებული იქნება შესრულებული სამუშაოების ღირებულების 5%, რომლის ნახევრის (2,5%) დაბრუნება მოხდება სამუშაოს სრული დასრულებისა და შემსყიდველის მიერ შექმნილი სპეციალური კომისიის მიერ შედგენილი საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის

გაფორმების შემდეგ, ხოლო დარჩენილი მეორე ნახევრის (2,5%) გადასარიცხავად მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების ან საქართველოში ლიცენზირებული სადაზღვეო კომპანიების/დაწესებულების მიერ გაცემული დასაბრუნებელი თანხის ოდენობის უპირობო საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა **60** კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს საგარანტიო პერიოდის ვადას (სამუშაოს მიღება-ჩაბარებიდან 3 წელი).

2.5. იმ შემთხვევაში, თუ კომისიის მიერ აქტის შედგენისას დაფიქსირებული იქნება შესრულებული სამუშაოს ნაკლი ან უხარისხობა, მიმწოდებელს აღნიშნული თანხა არ აუნაზღაურდება არსებული დეფექტების გამოსწორებამდე.

2.6 იმ შემთხვევაში თუ, საგარანტიო პერიოდის განმავლობაში ობიექტზე გამოვლენილი დეფექტების გამოსწორებას მიმწოდებელი ორგანიზაცია ვერ უზრუნველყოფს ან უარს აცხადებს მათ აღმოფხვრაზე, შემსყიდველი ობიექტზე შეაფასებს დეფექტების აღმოფხვრის ხარჯს და უზრუნველყოფს წარმოდგენილი საბანკო გარანტიიდან თანხის მოთხოვნას მის პროპორციულად. თუ დეფექტების აღმოფხვის ხარჯისათვის საჭირო თანხა აღემატება საბანკო გარანტიით განსაზღვრულ თანხას, შემსყიდველი დამატებით დააკისრებს მიმწოდებელს ზემოაღნიშნული განსხვავების გადახდას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2.7 მიმწოდებელმა ექსპერტიზის დასკვნა უნდა წარმოადგინოს მის მიერ ობიექტის საბოლოო მიღება- ჩაბარების წერილის დეპარტამენტში რეგისტრაციის თარიღიდან არაუგვიანეს 60 კალენდარული დღისა.

2.8 მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს წარუდგინოს წინასწარი წერილობითი თხოვნა ავანსის გაცემასთან დაკავშირებით, სადაც დეტალურად გაწერილი და დასაბუთებული უნდა იყოს ავანსის სახით მიღებული თანხის გამოყენების მიზნობრიობა, იგი ვალდებულია ასევე წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტები, რომ არ არის რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში, მის მიმართ არ არის რეგისტრირებული საგადასახადო გირავნობა ან/და ყადაღა, აღნიშნული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ დააკმაყოფილოს მიმწოდებლის თხოვნა ავანსის გაცემის თაობაზე.

2.9 შემსყიდველის მიერ ავანსის გაცემასთან დაკავშირებით დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აკრედიტებული საბანკო დაწესებულების ან საქართველოში ლიცენზირებული სადაზღვეო კომპანიის/დაწესებულების მიერ გაცემული გასაცემი ავანსის ოდენობის უპირობო საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა **30** კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

2.10 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელო მიმწოდებლის მიერ წინასწარი ანგარიშსწორების საფუძველზე მიღებული თანხის ხარჯვის მიზნობრიობის

შემოწმება (საავანსო თანხის ხარჯვის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენა).

2.11 მიმწოდებელზე გასაცემი საავანსო თანხა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არაუმეტეს 30% პროცენტის ოდენობით.

2.12 შემსყიდველის მიერ გაცემული ავანსის დაკავება მოხდება გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული ყოველი ეტაპის შესრულების წარმოდგენის დროს, ეტაპის შესრულების მთლიანი თანხით, ვიდრე სრულად არ გამოიქვითება მიმწოდებელზე გაცემული ავანსის თანხა.

2.13 შემსყიდველი უფლებამოსილია აამოქმედოს ავანსის უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტია ხელშეკრულების პირობების დარღვევისა და ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, თუკი შეწყვეტის მომენტისათვის მიმწოდებელს არა აქვს დაქვითული გაცემული ავანსი ან მისი ნაწილი.

2.14 ავანსის გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა იწარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით მიმწოდებლის მიერ უპირობო საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში.

2.17 იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული გარემოებების გამო მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ არ შეადგინა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს მის მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ღირებულებას ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთეული ფასების შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმწოდებელს არ უნდა გააჩნდეს პრეტენზია სამუშაოთა აუთვისებელ მოცულობების შესრულებაზე და მის გადახდაზე.

2.18 ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული გაუთვალისწინებელი სამუშაოებისათვის გამოყოფილი თანხა გამოიყენება

მხოლოდ სამუშაოს შესრულების პროცესში დამატებით ჩასატარებელი სამუშაოების შესასრულებლად, შესაბამისი მოტივირებული დასკვნის საფუძველზე, შემსყიდველთან წინასწარი წერილობითი შეთანხმებით.
2.19 შემსყიდველი უფლებამოსილია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის გამო დაკისრებული ჯარიმა ან/და პირგასამტეხლო (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაუკავოს (გამოუქვითოს) მიმწოდებელს ასანაზღაურებელი თანხიდან და გადარიცხოს ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე.

მუხლი 3. სამუშაოს შესაბამისობა

3.1. ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული სამუშაოები უნდა შესრულდეს ჯეროვნად საპროექტო დოკუმენტაციის, ტექნიკური პირობების, მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების, გარემოზე ზემოქმედების შეფასების, მათ შორის ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნისა და გარემოსდაცვის მართვის გეგმის მოთხოვნები და პირობები (მათი არსებობის შემთხვევაში), მსგავსი სამუშაოებისათვის უკვე არსებული სტანდარტებისა და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნების შესაბამისად. მუშაობის პროცესში შემსრულებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს საქართველოს კანონის "საავტომობილო გზების შესახებ", საგზაო სამუშაოების კლასიფიკაციის შესახებ ინსტრუქციის, საპროექტო დოკუმენტაციის, ტექნიკური პირობების, სპეციფიკაციების, წინამდებარე ხელშეკრულების პირობებისა და საქართველოში მოქმედი ყველა საჭირო სამშენებლო ნორმების, სტანდარტებისა და წესების მოთხოვნების დაცვით;
3.2 წინამდებარე ხელშეკრულების 3.1. პუნქტში აღნიშნული წესებიდან და ნორმებიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს სამუშაო ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები
3.3. მშენებლობის პროცესში გამოყენებული ყველა მასალა-მოწყობილობა უნდა იყოს მაღალი ხარისხის, რაზედაც შემსყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს სტანდარტის დამადასტურებელი სერთიფიკატი. შემსყიდველს უფლება აქვს მშენებლობის ნებისმიერ მომენტში შეამოწმოს გამოყენებული მასალებისა და სამუშაოთა შესრულების ხარისხი, იმ შემთხვევაში, თუ ხარისხი არ აღმოჩნდება სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისი, შემსყიდველი მხარე უფლებამოსილია შეაჩეროს სამშენებლო სამუშაოთა წარმოება და აკრძალოს შეუსაბამო მასალების გამოყენება. ტექნიკური ზედამხედველის მიერ მასალის დაწუნების შემთხვევაში წუნდებული მასალის გამოყენება მშენებლობაში დაუშვებელია. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაო არ იქნება მოწონებული შემსყიდველის მიერ, მიმწოდებელი ვალდებულია გამოასწოროს, სამუშაოს შესრულების მომენტში დაშვებული ხარვეზები საკუთარი ხარჯებით.
3.4. სახელშეკრულებო ობიექტზე შემსრულებელმა უნდა აწარმოოს სამუშაოთა წარმოების ჟურნალი, სადაც ყოველდღიურად ჩაწერს დღიური შესრულებული სამუშაოების მოცულობას, შემსრულებელი პერსონალის მონაცემებს, გამოყენებული მექანიზმების და მოწყობილობების ჩამონათვალს, რომელიც მონაწილეობდა სამუშაოს შესრულებაში, ხარისხის დაცვის პროცედურებს და სხვა. ხოლო ტექნიკური ზედამხედველი აფიქსირებს თავის შენიშვნებსა და რეკომენდაციებს სამუშაოს წარმოების შესახებ, ჟურნალში ჩაიწერება განსაკუთრებული დავალებები, აღმოჩენილი დეფექტები და მათი აღმოფხვრის ვადები. მიმწოდებელმა უნდა აწარმოოს ყველა საშემსრულებლო ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც განსაზღვრულია მოქმედი სამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით ობიექტის მოვლა-შენახვის სპეციფიკის გათვალისწინებით.
3.5. ფარული სამუშაოების წარმოების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია შეადგინოს ფარული სამუშაოების დამადასტურებელი წერილობითი აქტები. ფარული სამუშაოები წარმოებულ უნდა იქნეს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ინსპექტირების განმახორციელებელ პირთან/პირებთან ერთად, აქტი დამოწმებული უნდა იყოს, როგორც მიმწოდებლის, ასევე შემსყიდველის ტექნიკური ზედამხედველის მიერ.

მუხლი 4. სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი

4.1. სამუშაოს მიღება ხორციელდება ამ ხელშეკრულების 1.1. პუნქტში აღნიშნულ ადგილზე.

4.2. შესრულებული სამუშაოების მიღება განხორციელდება - 3 ეტაპად დაყოფილი სამუშაოს შესრულების გეგმა გრაფიკის შესაბამისად, თითოეული ეტაპი მოიცავს 30 კალენდარულ დღეს, მიმწოდებელი ვალდებულია პირველ ეტაპზე შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების საერთო ღირებულების არანაკლებ 20%-სა, ხოლო მე-2 და მე-3 ეტაპზე უფლებამოსილია თვითონ განსაზღვროს შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება. სამუშაოს შესრულების ვადა -90 კალენდარული დღე აითვლება სამუშაოს დაწყებიდან, მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები დაიწყოს არაუგვიანეს 2019 წლის 15 მაისისა, ხელსაყრელი კლიმატური პირობების არსებობის შემთხვევაში პრეტენდენტი უფლებამოსილია დაიწყოს სამუშაოები ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 2019 წლის 15 მაისამდე პერიოდშიც. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოს დაწყების შესახებ წერილობით აცნობოს შემსყიდველს.

4.2.1 მიმწოდებელს ეტაპებს შორის საშუალება ეძლევა განახორციელოს შუალედური მიღება– ჩაბარება, მაგრამ არანაკლებ ეტაპის სამუშაოს მოცულობის 50%–სა.

4.3 შემსყიდველი უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ სამუშაოების წარმოების პროცესში მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ შესრულებულ სამუშაოებს (ფორმა N2) ჩაუტაროს ექსპერტიზა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში“ ან სხვა აკრედიტებულ პირთან. საექსპერტო მომსახურების ხარჯებს გაიღებს მიმწოდებელი ორგანიზაცია, თუ წარმოდგენილ ფორმა N2-სა და საექსპერტო დასკვნას შორის აღმოჩნდება ცდომილება. წინააღმდეგ შემთხვევაში საექსპერტო მომსახურების ხარჯებს აანაზღაურებს შემსყიდველი.

4.4 ამ ხელშეკრულების ძალით შესრულებული სამუშაოების შემოწმებას და მიღება-ჩაბარებას ახორციელებს შემსყიდველის მიერ უშუალოდ საამისოდ შერჩეული პირი - შემდგომში „ტექზედამხედველი“, რომელიც ადგილზე ამოწმებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ობიექტზე შესრულებულ სამუშაოთა მოცულობას და ხარისხს.

4.5. შესყიდვის ობიექტზე წარმოდგენილი სამუშაოს შესრულების აქტები- ფორმა #2 და მიღება-ჩაბარების აქტები, დამოწმებული უნდა იყოს მიმწოდებლის მხრიდან სხვა პასუხისმგებელ პირებთან ერთად საინჟინრო განათლების მქონე სპეციალისტის მიერ.

4.6. ხელშეკრულების საგნის მიღება (როგორც სრული, ასევე ნაწილობრივი) ხორციელდება სამუშაოების მიღება-ჩაბრების აქტის გაფორმებით. სამუშაოს (როგორც სრული, ასევე ნაწილობრივი) მიღება-ჩაბარების აქტი უნდა ეფუძნებოდეს ტექნიკური ზედამხედველის მიერ დამოწმებულ შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტს- ფორმა #2-ს. მიღება-ჩაბარების აქტზე ხელს აწერს დეპარტამენტის ტექნიკური განყოფილების უფროსი ან/და დეპარტამენტის უფროსის კურატორი მოადგილე, იმისდა მიხედვით, თუ რომელი მათგანი ღებულობს მონაწილეობას შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების პროცესში. შესრულებული სამუშაოების (როგორც სრულად, ასევე ნაწილობრივ) მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებამდე, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ტექნიკური ზედამხედველობის განმახორციელებელი პირის მიერ დამოწმებული შესრულებული სამუშაოების აქტის (ფორმა #2) წარმოდგენა, რომლითაც დასტურდება შესრულებული სამუშაოების ხარისხი, მოცულობა, ღირებულება და მათი შესაბამისობა საპროექტო- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან.

4.7. ხელშეკრულების საგნის როგორც სრული, ასევე ნაწილობრივი მიღება-ჩაბარებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოუდგინოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოების აქტი - ფორმა #2, ანაზღაურების სერთიფიკატი - ფორმა #3, ფარული სამუშაოების აქტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დადასტურებული შემსყიდველის წარმომადგენლის მიერ, მასალების სერთიფიკატი, ასფალტბეტონის სამუშაოების შემთხვევაში ასფალტბეტონის ამონაჭერის გამოცდის ლაბორატორიული დასკვნა (სსიპ “ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო”-ს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ მიერ გაცემული დადებითი დასკვნა). **დეპარტამენტის ტქნიკური ზედამხედველის თანდასწრებით უნდა მოხდეს ყოველი ამოჭრილი კერნის ადგილის იდენტიფიკაცია (პიკეტაჟი, ფოტომასალა) და დადასტურებული იქნას შესაბამისი ოქმით. ამოჭრილი კერნის ადგილები შევსებულ იქნას ცივი ან ცხელი ა/ბ ნარევით),** დასრულებული სამუშაოების მიმღები კომისიის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი და სსიპ “ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო”-ს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ მიერ გაცემული დადებითი დასკვნა (ექსპერტიზის ხარჯებს გაიღებს მიმწოდებელი, აკრედიტებული პირის მიერ გაცემულ დასკვნასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტი),რითაც

დასტურდება:

1. შესრულებულ სამუშაოთა მოცულობების რაოდენობრივი სიზუსტე;

2.შესრულებულ სამუშაოთა მოცულობების ხარჯთაღრიცხვის მოცულობებთან შესაბამისობა;

3.შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი. ამისათვის მიმწოდებელმა სსიპ "ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო"-ში ან სხვა აკრედიტებულ პირთან მიმართვა შესრულებულ სამუშაოთა დადასტურების მიზნით უნდა წარადგინოს შემდეგი ფორმით:

"წარმოდგენილ სამუშაოთა ფორმა #2-ის მიხედვით გთხოვთ, დაგვიდგინოთ:

1. ფორმა #2-ით წარმოდგენილი შესრულებულ სამუშაოთა მოცულობების სიზუსტე.

2. ფორმა #2-ით წარმოდგენილი სამუშაოების მოცულობებისა და ღირებულებების შესაბამისობა ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ შესაბამის სამუშაოთა მოცულობებსა და ღირებულებასთან მიმართებაში.

3. შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი: (ამოკვეთილ (კერნი) ასფალტბეტონის ლაბორატორიულ კვლევაში ასახული უნდა იყოს: ა) ბიტუმის რაოდენობა, ბ) მინერალური ფხვნილის რაოდენობა, გ) მინერალური მასალის გრანულომეტრია დ) ა/ბ საფარის დატკეპნის ხარისხი, ე) ა/ბ ნარჩენი ფორიანობა).

4.8 შესრულებული სამუშაოების მიღება–ჩაბარების დროს გამოყენებული მასალები შესაბამისობაში უნდა იყოს პროექტით გათვალისწინებულ მასალებთან.

4.9. მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად დასრულებულ სამუშაოთა მისაღებად სავალდებულო დოკუმენტაცია "აჭარის არ მთავრობის საქვუწყებო დაწესებულება საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის მიერ შესყიდული დასრულებული სამუშაოების მისაღებად წარმოსადგენი სავალდებულო დოკუმენტაციის და მისი წარმოდგენის პროცედურების განსაზღვრის შესახებ" დეპარტამენტის 2016 წლის 08 თებერვლის #7 ბრძანებაში შეტანილი ცვლილების შესაბამისად (დეპარტამენტის უფროსის 2017 წლის 14 თებერვლის #16 ბრძანება).

4.10. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, სიტყვიერი ან/და წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს სამუშაოთა მიმდინარეობის პროცესში შემოწმების შედეგად გამოვლენილი წუნდებული სამუშაოს მოცულობის, წუნდების მიზეზების და წუნდების გამოსწორების ვადების მითითებით შესახებ ინფორმაცია;

4.11. სამუშაოს ეტაპების მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი;

4.12. შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარებას ახორციელებს დეპარტამენტის უფროსის 2018 წლის 12 ივნისის #24 ბრძანებით შექმნილი „გზების რეაბილიტაცია" და „ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია" ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული ღონისძიებების დამთავრებული სამუშაოების მიმღები მუდმივმოქმედი კომისია.

მუხლი 5. გარანტია

5.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ სამუშაო განხორციელდება სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად.

5.2. შესრულებული სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის საგარანტიო ვადა შეადგენს სამ წელს სამუშაოს მიღებიდან.

5.3. საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიმართვის შემდეგ არაუგვიანეს 30 დღეში საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ობიექტის ექსპლოატაციის დროს წარმოქმნილი ან/და აღმოჩენილი დეფექტების აღმოფხვრა.

5.4. თუ მიმწოდებელი საგარანტიო ვადის განმავლობაში საკუთარი ხარჯებით ვერ უზრუნველყოფს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრას, შემსყიდველი უფლებამოსილია იმოქმედოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

6.1.1. სამუშაოები დაასრულოს 90 კალენდარული დღეში სამუშაოს დაწყებიდან, სამუშაოები დაიწყოს არაუგვიანეს 2019 წლის 15 მაისისა, ხელსაყრელი კლიმატური პირობების არსებობის შემთხვევაში უფლებამოსილია დაიწყოს სამუშაოები ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 2019 წლის 15 მაისამდე პერიოდშიც. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოს დაწყების შესახებ წერილობით აცნობოს შემსყიდველს.

სამუშაოების მიღება განხორციელდება - 3 ეტაპად დაყოფილი სამუშაოს შესრულების გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, თითოეული ეტაპი მოიცავს 30 კალენდარულ დღეს, მიმწოდებელი ვალდებულია პირველ ეტაპზე შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების საერთო ღირებულების არანაკლებ 20%-სა, ხოლო მე-2 და მე-3 ეტაპზე უფლებამოსილია თვითონ განსაზღვროს შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება.

6.1.2. წერილობით წარმოადგინოს დეპარტამენტში გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული ყოველი ეტაპის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია 4.7 პუნქტის შესაბამისად.

6.1.3. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

6.1.4. სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით უზრუნველყოს სამუსაოთა მაღალი ხარისხით შესრულება და მათი დამთავრება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში;

6.1.5. სამუშაოები აწარმოოს ტექნიკური ზედამხედველის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ. მიმწოდებელი ვალდებულია წინასწარ წერილობით აცნობოს შემსყიდველს სამუშაოების დასრულების შესახებ.

6.1.6. აწარმოოს სამუშაოების ჟურნალი და ფარული სამუშაოების აქტები.

6.1.7. სამუშაოების შესრულების პროცესში შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაო შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;

6.1.8. სამუშაოს შესასრულებლად აუცილებელი მასალები, აღჭურვილობა და მექანიზმების მიწოდება უზრუნველყოფილი უნდა იქნას მიმწოდებლის მიერ საკუთარი შესაძლებლობებით და რესურსებით და მიმწოდებელი პასუხისმგებელი უნდა იყოს აღნიშნული მასალების, აღჭურვილობის და მექანიზმების უსაფრთხოებაზე. ხსენებული მასალების დაკარგვის ან გაუმართაობის შედეგად გამოწვეული რისკი ეკისრება მიმწოდებელს.

6.1.9. მიმწოდებელმა სამუშაოების განხორციელების განმავლობაში მათ მიღებამდე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და არსებული ნორმების შესაბამისად, უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად;

6.1.10. მიმწოდებელი საქართველოში ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვასთან დაკავშირებით მოქმედი კანონმდებლობის და ნორმების შესაბამისად ვალდებულია მიიღოს უსაფრთხოების აუცილებელი ზომები მშენებლობის ზონაში ხანძრის გაჩენის და აფეთქების თავიდან ასაცილებლად.

6.1.11. ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გარეშე დაუშვას შემსყიდველი და მისი წარმომადგენლები სამუშაო მოედნებზე. საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

6.1.12. შემსყიდველს უმოკლეს ვადაში აცნობოს მისი ორგანიზაციის მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ;

6.1.13. ტენდერით გათვალისწინებულ საავტომობილო გზაზე მიმწოდებლის მიზეზით მოძრაობის დროებით შეწყვეტისათვის ნებართვის აღება შესაბამისი სამსახურიდან და პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს და ზიანის წარმოშობის შემთხვევაში მას აანაზღაურებს საკუთარი ხარჯით.

6.1.14. მიმწოდებელი პასუხისმგებელია სამუშაოს შესრულების პროცესში ისეთი სამშენებლო მასალების გამოყენებაზე, რომლების მოპოვებაზეც კანონმდებლობით განსაზღვრულია სათანადო ლიცენზიის არსებობა.

6.1.15. **სამუშაოების წარმოების პროცესში მიწისქვეშა კომუნიკაციების დაზიანების შემთხვევაში სრული პასუხისმგებლობა და დაზიანებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.**

6.1.16. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოთა შესრულებისას იხელმძღვანელოს საქართველოს კანონის "საავტომობილო გზების შესახებ", საგზაო სამუშაოების კლასიფიკაციის შესახებ ინსტრუქციის, საპროექტო დოკუმენტაციის, ტექნიკური პირობების, სპეციფიკაციების, წინამდებარე ხელშეკრულების

პირობებისა და საქართველოში მოქმედი ყველა საჭირო სამშენებლო ნორმების, სტანდარტებისა და წესების მოთხოვნების მიხედვით;
6.1.17. ისარგებლოს მარტო იმ ასფალტობეტონის ქარხნით, რომლის მიერ გამოშვებულ პროდუქციას ექნება ლაბორატორიული დასკვნა, ამ ქარხნის პროდუქციის გამოყენების ვარგისიანობაზე.
6.1.18 მიმწოდებელმა თვალსაჩინო ადგილას უნდა განათავსოს მინიმუმ 2 ცალი საინფორმაციო დაფა (100სმ/80სმ), შემსყიდველის მიერ გადაცემული ესკიზის შესაბამისად,

6.2. მიმწოდებელს უფლება აქვს:

6.2.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შესრულებული სამუსაოების ღირებულების ანაზღაურება

6.3. შემსყიდველი ვალდებულია:

6.3.1. აწარმოოს ინსპექტირება საამისოდ შერჩეულ პირთან ერთად სამუშაოს მიმდინარეობაზე, თანახმად მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესებისა, რომელთა დარღვევის შემთხვევაში იგი უფლებამოსილია შეაჩეროს სამუშაოები;
6.3.2. შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად.
6.3.3. წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

6.4. შემსყიდველს უფლება აქვს:

6.4.1. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.
6.4.2. განახორციელოს შესრულებული სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შეამოწმოს მათი შესაბამისობა საქართველოში მოქმედი მშენებლობის ნორმებისა და წესებში გათვალისწინებული ხარისხის კრიტერიუმების, ტექნიკური სპეციფიკაციების და მოქმედი სტანდარტების გათვალისწინებით.
6.4.3. ხელი მოაწეროს სამუშაოების მიღება-ჩაბარების (შესრულების) აქტებს;

6.4.4.ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველის, მიმწოდებლისა და ხელშეკრულების ინსპექტირების მიზნით შერჩეული სხვა პირების მონაწილეობით ფორმდება შესაბამისი აქტი, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი ხელშეკრულების შეუსრულებლობის მიზეზები,რის შემდგომაც შემსყიდველის შეხედულებისამებრ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტირების მექანიზმი. თუ მიმწოდებელის წარმომადგენელი უარს აცხადებს აღნიშნული აქტის შედგენაში მონაწილეობაზე, ხსენებული ფიქსირდება ამავე აქტში და იგი იწვევს იმავე სამართლებრივ შედეგებს, რასაც გამოიწვევდა მიმწოდებლის წარმომადგენლის მონაწილეობით შედგენილი აქტი. სამუშაოების უხარისხოდ შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია თავისი სახსრებით უზრუნველყოს წუნის აღმოფხვრა დაუყონებლივ.
6.4.5. უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების დაფიქსირება ხდება შემსყიდველის მიერ შედგენილ შესაბამისი აქტში, რის შემდეგაც მიმწოდებელს არ უნაზღაურდება დეფექტებით შესრულებული სამუშაოთა ღირებულება.
6.4.6 იმშემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან შესრულებულ სამუშაოთა წარმოდგენილი მოცულობები, შემსყიდველის მიერ გადამოწმების შემთხვევაში არ შეესაბამება რეალობას, შემსყიდველი სათანადო აქტის შედგენის შემდეგ არ უნაზღაურებს მას აღნიშნულ სამუშაოთა ღირებულებას.
6.4.7. შემსყიდველი და მის მიერ ტექზედამხედველობისათვის შერჩეული პირი ვალდებულია მიმწოდებელთან ერთად აწარმოოს სამუშაოების შესრულებაზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების მიმდინარეობის კონტროლი.

მუხლი 7. პასუხისმგებლობა

7.1. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის მიმწოდებელს

პირგასამტეხლოს სახით ერთჯერადად დაეკისრება ხელშეკრულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნისთანავე გადაუხადოს პირგასამტეხლო არაუგვიანეს 10 საბანკო დღის განმავლობაში.

7.2 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში (მიმწოდებლის მიზეზით) მიმწოდებელს პირგასამტეხლოს სახით დაეკისრება ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნისთანავე გადაუხადოს პირგასამტეხლო 1% არაუგვიანეს 10 საბანკო დღის განმავლობაში.

7.3 შემსყიდველი კისრულობს პასუხისმგებლობას ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის გადაუხადოს

პირგასამტეხლოს სახით მიმწოდებელს გადასახდელი თანხის 0.02% ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

7.4 მიმწოდებლის პასუხისმგებლობის პირობები:

7.4.1. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ყოველი ეტაპის შესრულების ვადას გადააცილებს გეგმა- გრაფიკით გათვალისწინებულ შესაბამისი ეტაპის დასრულების ვადას, დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0.02%-ის ოდენობით;

7.4.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჯარიმებისა და პირგასამტეხლოს რაოდენობა მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 0,2 %-ს, შესყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

7.4.3 2.7 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში (60 დღე) მიმწოდებლის მიერ ექსპერტიზის დასკვნის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, მიმწოდებლს დაეკისრება ერთჯერადად ჯარიმა მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 0,2%-ის ოდენობით, ასევე 61-ე დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე პიგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 0.02 %-ის ოდენობით.

7.4.4. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ არ იქნება წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნა შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების 2.4. პუნქტით განსაზღვრული დაკავებული თანხა გადარიცხოს ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე. ჯარიმებისა და პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.4.5. შემსყიდველთან შეთანხმების გარეშე ქვეკონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის სახით პირგასამტეხლო სახელშეკრულებო თანხის 0,2%-ის ოდენობით. ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში აღნიშნული საჯარიმო სანქცია გავრცელდება მთელი საგარანტიო პერიოდის განმავლობაში (სამუშაოს მიღება ჩაბარებიდან 3 წელი).

7.4.6. ხელშეკრულების მე-7 მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მიმართოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველმყოფი საბანკო გარანტიის გამცემ ორგანოს (გარანტი) და გამოითხოვოს საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა.

7.5 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან:

7.5.1. თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორსმაჟორული მდგომარეობით ან/და მხარეები ხელშეკრულების შესრულების პროცესში წააწყდებიან ისეთ ხელშემშლელ გარემოებებს, რომელიც გამოწვეულია კანონით გათვალისწინებული ფორს-მაჟორული გარემოებებით.

7.5.2. ის მხარე, რომელიც ხელშეკრულების 7.5.1. პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გამო ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზებისა და მისი შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ, ხოლო შეტყობინებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა წარმოადგინოს ცნობა შესაბამისი კომპეტენტური ორგანიზაციიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც დაადასტურებს წერილში მოყვანილ გარემოებებს.

7.5.3. ხელშეკრულების 7.5.2. პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილი არიან გადახედონ ხელშეკრულების პირობებს და შეიტანონ მასში შესაბამისი ცვლილება ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ან/და (სათანადო არგუმენტაციის საფუძველზე) ვადამდე შეწყვიტონ ხელშეკრულება.

მუხლი 8. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

8.1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აკრედიტებული საბანკო ან საქართველოში ლიცენზირებული სადაზღვეო კომპანიის/ დაწესებულების მიერ გაცემული უპირობო საბანკო გარანტია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა ხელშეკრულების მოქმედების ვადას უნდა აღემატებოდეს 90 კალენდარულ დღით.

8.2. გარანტია უნდა იყოს უპირობო და შემსყიდველს უნდა აძლევდეს უფლებას გარანტიის გამცემი დაწესებულებისგან პირველი მოთხოვნისთანავე, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, მიიღოს შესაბამისი თანხა.

8.2. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის უპირობო საბანკო გარანტია, გამოიყენება ნებისმიერი ზიანის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო, აგრეთვე შემსყიდველის მიერ პირგასამტეხლოს გამოყენებისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს აამოქმედოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სრული ოდენობით.

8.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო, შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია აამოქმედოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი უპირობო საბანკო გარანტია სრული ოდენობით. ამ შემთხვევაში საბანკო გარანტიის ამოქმედება მიმწოდებელს არ ათავისუფლებს შემსყიდველისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებისგან.

8.5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ, ან/და მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო (ფორს-მაჟორული გარემოებები) ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

მუხლი 9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.

9.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მეორე მხარეს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.3 ხელშეკრულების შეწყვეტის გაფორმება ხდება ორმხრივი შეთანხმებით, დანართის ფორმით, მაგრამ შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ გამოიყენონ ხელშეკრულების ცალმხრივად (წერილობითი ფორმით) შეწყვეტის შესაძლებლობა.

9.4 შემსყიდველი უფლებამოსილია ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქ მედება, თუ:

ა) მიმწოდებელი არღვევს ამ ხელშეკრულების პირობებს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს).

ბ) მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე (მიუხედავად მისი დაწყების დროისა);

გ) მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა;

დ) მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების ჯეროვან შესრულებაზე;

ე) ამოიწურა ხელშეკრულებისგარანტიით განსაზღვრული თანხა და მიმწოდებელმა არ წარმოადგინა ახალი გარანტია.

ვ)მიმწოდებლის მიმართ დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობამ გადააჭარბა ხელშეკრულების ღირებულების 0,2%-ს;

ზ) იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი სამუშაოებს გეგმა-გრაფიკის მიხედვით განსაზღვრული რომელიმე ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების ღირებულების 80%- ზე ნაკლებს შეასრულებს, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

თ) 2.5. პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში (60 დღე) მიმწოდებლის მიერ ექსპერტიზის დასკვნის

წარმოუდგენლობის შემთხვევაში, მიმწოდებლს დაეკისრება ერთჯერადად ჯარიმა მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 0,2%-ის ოდენობით, ასევე 61-ე დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე პიგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 0.02 %-ის ოდენობით. იმ შემთხვევაში, როდესაც ჯარიმისა და პირგასამტეხლოს ჯამური თანხა მიაღწევს სახელშეკრულებო ღირებულების 0,2 %-ს, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება. რის შემდეგ ხელშეკრულების 2.4. პუნქტით განსაზღვრული დაკავებული თანხიდან მიმწოდებელს არ დაუბრუნდება ჯარიმისა და პირგასამტეხლოს სახით დაკისრებული თანხა და გადაირიცხება ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე.

ი) შემსყიდველთან შეთანხმების გარეშე ქვეკონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს შეუწყვიტოს ხელშეკრულება.

კ)ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელმა ხელშეკრულების დადების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება.

ლ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევაში.

მუხლი 10. ქვეკონტრაქტორები

10.1 მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში ქვეკონტრაქტორის აყვანის შესახებ.

10.2 ქვეკონტრაქტორი არ უნდა იყოს რეგისტრირდებოდეს სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში (შავი სია).

10.3. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს ქვეკონტრაქტორს თავისი უფლებები და მოვალეობები, შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე. შემსყიდველის თანხმობის გარეშე ქვეკონტაქტორის აყვანის შემთხვევაში, ვრცელდება 9.4.ი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები.

10.4. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა ქვეკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

10.5 მიმწოდებელი უფლებამოსილია ქვექონტრაქტორს გადასცეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ღირებულების არაუმეტეს 40%-ისა.

10.6 მუშაობის პროცესში ქვეკონტრაქტორის შეცვლა, ან დამატებითი ქვეკონტრაქტორის აყვანა ასევე უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან. მიმწოდებელი ვალდებულია აცნობოს შემსყიდველს სამუშაოთა მოცულობის რა ნაწილი გადაეცემა ქვეკონტრაქტორს.

10.7 სამუშაოების ნაწილის ქვეკონტრაქტორზე გადაცემით მიმწოდებელი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრივალდებულებებიდან.

მუხლი 11. ინსპექტირება

11.1.ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს შესრულებული სამუშაოს ინსპექტირება.

11.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

11.3. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების პირობების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობაზე. შესრულებული სამუშაოების ტექნიკური მონიტორინგი და კონტროლი ევალება დეპარტამენტის ტექნიკურ სამსახურს ხელშეკრულების პირობების საერთო კონტროლი ევალება დეპარტანტის უფროსის დარგის კურატორ მოადგილეს.

11.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.
11.5. სამუშაოების მიმდინარეობაზე შემსყიდველი აწარმოებს კონტროლს თანახმად საქართველოს კანონის "საავტომობილო გზების შესახებ", საგზაო სამუშაოების კლასიფიკაციის შესახებ ინსტრუქციის, საქართველოში მოქმედი ყველა სამშენებლო ნორმების, სტანდარტების და წესების, აგრეთვე ტექნიკური პირობების, ხელშეკრულების პირობების თანახმად, რომელთა დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია შეაჩეროს სამუშაოების მიმდინარეობა და განახორციელოს ამ ხელშეკრულებით და კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციები.

მუხლი 12. სხვა პირობები

12.1 წინამდებარე ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
12.2 მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
12.3. ნებისმიერი გადახრა ან ცვლილება ამ ხელშეკრულების პირობებში დაიშვება მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების საფუძველზე.
12.4. იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესრულების დროს ამ ხელშეკრულების ღირებულებისა და ანგარიშსწორებიდან გამომდინარე, ან რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა, ასეთი ცვლილებები დასაშვებია წინამდებარე ხელშეკრულების საერთო შინაარსის ფარგლებში და ცვლილებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია.
12.5. ნებისმიერ ცვლილება, რომელსა მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
12.6. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
12.7. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის, ფაქსის სახით ან ელექტრონული ფოსტით (სკანირებული PDFფორმატში) ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.
12.8. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.
12.9. მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმებითა და მოლაპარაკებების გზით; იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მხარეებს უფლება აქვთ მიმართო სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.
12.10 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან: ორი ეგზემპლარი შემსყიდველთან, ხოლო ერთი-მიმწოდებელთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
12.11 ხარჯთაღრიცხვა, სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი, საგარანტიო უზრუნველყოფა და სხვა დოკუმენტაცია თან ერთვის და წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
12.12. უქმე დღეების დამთხვევის შემთხვევაში სამუშაოების წარმოებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის წარმოდგენა განხორციელდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 127-ე მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. სამუშაოს შესრულების ვადაა 90 კალენდარული დღეში სამუშაოს დაწყებიდან, სამუშაოები დაიწყოს არაუგვიანეს 2019 წლის 15 მაისისა ხელსაყრელი კლიმატური პირობების არსებობის შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დაიწყოს სამუშაოები ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 2019 წლის 15 მაისამდე პერიოდშიც. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოს დაწყების შესახებ წერილობით აცნობოს შემსყიდველს.

სამუშაოების მიღება განხორციელდება - 3 ეტაპად დაყოფილი სამუშაოს შესრულების გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, თითოეული ეტაპი მოიცავს 30 კალენდარულ დღეს, მიმწოდებელი ვალდებულია პირველ ეტაპზე შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების საერთო ღირებულების არანაკლებ 20%-სა, ხოლო მე-2 და მე-3 ეტაპზე უფლებამოსილია თვითონ განსაზღვროს შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება.

13.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან (თუ სხვა კონკრეტული ვადა არ არის განსაზღვრული), მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე, 2019 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით.

მუხლი 14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

“შემსყიდველი“

ქ. ბათუმი ჯავახიშვილის №72ა

აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს

საქვეუწყებო-დაწესებულება საავტომობილო

გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის

დეპარტამენტი

დეპარტამენტის უფროსის

მოვალეობის შემსრულებელი:

რაულ ბერიძე

„მიმწოდებელი“

შ.პ.ს. „გზები“

ქ. ბათუმი, აკაკი შანიძის 1 შესახვევი #4

საიდ. კოდი: 245 425 393

მიმღები ბანკი: ს.ს. “ პროკრედიტ ბანკი ”

ბანკის კოდი: MIBGGE22

ანგარიშის #

GE13PC0033600100052137

დირექტორი:

ირაკლი აბაშიძე

Irakli Abashidze

2019.01.24 13:27:48 +04'00'

საავტომობილო გზა „ხულო-ძირკვაძეები" კმ2+330-კმ3+215
ა/ბეტონის საფარის მოწყობა - დანართი №1
ლოკალური ხარჯთაღრიცხვა №1

მიწის ვაკისის აღდგენა-მოწყობა

№№	სამუშაოების დასახელება	ერთ. განზ		ღირებულება	
			საპროექტო მოცულობა	ერთ.	სულ
1	3	4	6	7	8
1	კიუვეტების აღდგენა IV ჯგ გრუნტებში ექსკავატორით V-0.5 მ^3 დატვირთვით ავტოთვითმცვლელებზე	მ^3	64,00	380,00	24 320,00
2	III ჯგ. გრუნტის დამუშავება კიუვეტებში ხელით დატვირთვით ავტოთვითმცვლელებზე	მ^3	6,00	10,00	60,00
3	კიუვეტებში კლდოვანი გრუნტების გაფხვიერება სამტვრევი ჩაქუჩით დატვირთვით ავტოთვითმცვლელებზე	მ^3	9,0	10,00	90,00
4	მიწის ვაკისის გაწმენდა ზედმეტი IV ჯგ. გრუნტებისაგან, დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე	მ^3	89,00	10,00	890,00
5	გრუნტის გატანა ნაყარში 2 კმ-მდე	ტ	294,00	10,00	2 940,00
ჯამი ლოკალ. №1					**28 300,00**

საავტომობილო გზა „ხულო-ძირკვაძეები" კმ2+330-კმ3+215
ა/ბეტონის საფარის მოწყობა
ლოკალური ხარჯთაღრიცხვა №2
ანაკრები რკ.ბეტონის კიუვეტების მოწყობა კვეთით 0.4X0.4მ

№	სამუშაოს დასახელება	ერთ. განზ		ღირებულება	
			საპროექტო მოცულობა	ერთ.	სულ
1	3	4	6	7	8

1	3	4	6	7	8
1	IV ჯგ გრუნტების დამუშავება კიუვეტებში ექსკავატორით V-0.5 მ^3 დატვირთვით ავტოთვითმცვლელებზე	1000 მ^3	0,205	10 000,00	2 050,00
2	IV ჯგ. გრუნტის დამუშავება კიუვეტებში ხელით	100 მ^3	0,15	1 000,00	150,00
3	V ჯგ გრუნტებში თხრილი მოწყობა სანგრევი ჩაქუჩებით დატვირთვით ავტოთვითმცვლელებზე	100 მ^3	0,05	1 000,00	50,00
4	გრუნტის გატანა ნაყარში 2 კმ-მდე	ტ	393,76	10,00	3 937,60
5	ხრეშოვანი ბალიშის მოწყობა სისქით 10სმ	100 მ^3	0,41	2 000,00	820,00
6	ანაკრები რკ.ბეტონის კიუვეტების მოწყობა კვეთით 0,4X0,4მ	100 მ	5,86	10 000,00	58 600,00
7	თხრილის შევსება ხრეშოვანი მასალით (ბალასტი), ჩაყრა და მოსწორება	1000 მ^3	0,088	20 000,00	1 760,00
8	ღია არხზე ლითონის ცხაურების მოწყობა (კუთხოვანა 80X80X8მმ, შველერი №6.5, არმატურა ф-22მმ ა-III)	ტნ	2,746	3 500,00	9 611,00
	ჯამი ლოკალ. №2				**76 978,60**

საავტომობილო გზა „ხულო-ძირკვაძეები" კმ2+330-კმ3+215
ა/ბეტონის საფარის მოწყობა
ლოკალური ხარჯთაღრიცხვა №3
ლითონის მილების მოწყობა

№	სამუშაოს დასახელება	ერთ. განზ		ღირებულება	
			საპროექტო მოცულობა	ერთ.	სულ
1	3	4	6	7	8
1	IV ჯგ გრუნტების დამუშავება ექსკავატორით V-0.5 მ^3 დატვირთვით ავტოთვითმცვლელებზე	1000 მ^3	0,027	10 000,00	270,00

1	3	4	6	7	8
2	IV ჯგ. გრუნტის დამუშავება ხელით	100 მ^3	0,03	1 000,00	30,00
3	V ჯგ გრუნტებში თხრილი მოწყობა სანგრევი ჩაქუჩებით დატვირთვით ავტოთვითმცვლელებზე	100 მ^3	0,01	1 000,00	10,00
4	გრუნტის გატანა ნაყარში 2 კმ-მდე	ტ	54,24	10,00	542,40
5	ხრეშოვანი ბალიშის მოწყობა მილის ქვეშ	100 მ^3	0,04	2 000,00	80,00
6	მილების ორფენიანი ჰიდროიზოლაცია ბიტუმით	100 მ^2	0,63	200,00	126,00
7	წყალგამტარი ლითონის მილების მოწყობა d-0,2მ 1გრძ.მ-26.4კგ 2 ადგილზე	გრძ.მ	16,00	120,00	1 920,00
8	წყალგამტარი ლითონის მილების მოწყობა d-1,0მ 1გრძ.მ-241.8კგ 1 ადგილზე	გრძ.მ	12,00	900,00	10 800,00
9	არსებული მილის d=0.5მ შესასვლელზე ტიპიური პორტალური კედლის მოწყობა მონოლითური ბეტონით B-18.5	100 მ^3	0,0120	20 000,00	240,00
10	თხრილის შევსება ხრეშოვანი მასალით (ბალასტი), ჩაყრა და მოსწორება	1000 მ^3	0,016	20 000,00	320,00
ჯამი ლოკალ. №3					**14 338,40**

საავტომობილო გზა „ხულო-ძირკვაძეები" კმ2+330-კმ3+215
ა/ბეტონის საფარის მოწყობა
ლოკალური ხარჯთაღრიცხვა №4
ბეტონის პორტალური კედლის მოწყობა

№	სამუშაოს დასახელება	ერთ. განზ		ღირებულება	
			საპროექტო მოცულობა	ერთ.	სულ
1	3	4	6	7	8
1	IV ჯგ გრუნტების დამუშავება ექსკავატორით V-0.5მ^3 დატვირთვით ავტოთვითმცვლელებზე	1000 მ^3	0,033	10 000,00	330,00
2	III ჯგ. გრუნტის დამუშავება ხელით	მ^3	3,00	10,00	30,00

1	3	4	6	7	8
3	V ჯგ გრუნტებში ქვაბულის დამუშავება სანგრევი ჩაქუჩებით დატვირთვით ავტოთვითმცვლელებზე	$მ^3$	1,00	10,00	10,00
4	გრუნტის გატანა ნაყარში 2 კმ-მდე	ტ	64,75	10,00	647,50
5	ხრეშოვანი ბალიშის მოწყობა კედლის ფუნდამენტის ქვეშ	$მ^3$	1,000	20,00	20,00
6	კედლის ფუნდამენტის მოწყობა მონოლითური ბეტონისაგან B-18.5	$მ^3$	3,85	200,00	770,00
7	კედლის ტანისა და პარაპეტის მოწყობა მონოლითური ბეტონისაგან	$მ^3$	4,25	200,00	850,00
8	ორფენიანი ჰიდროიზოლაცია ბიტუმით	$მ^2$	8,00	200,00	1 600,00
9	კედლის უკან ყრილის მოწყობა ხრეშოვანი მასალით (ბალასტი), ჩაყრა და მოსწორება	$მ^3$	10,00	20,00	200,00
ჯამი ლოკალ. №4					**4 457,50**

საავტომობილო გზა „ხულო-ძირკვაძეები" კმ2+330-კმ3+215
ა/ბეტონის საფარის მოწყობა
ლოკალური ხარჯთაღრიცხვა №5
გაბიონების მოწყობა

№	სამუშაოს დასახელება	ერთ. განზ		ღირებულება	
			საპროექტო მოცულობა	ერთ.	სულ
1	3	4	6	7	8
1	IV ჯგ გრუნტების დამუშავება ექსკავატორით V-0.5$მ^3$ დატვირთვით ავტოთვითმცვლელებზე	1000 $მ^3$	0,106	10 000,00	1 060,00
2	III ჯგ. გრუნტის დამუშავება ხელით	100 $მ^3$	0,12	1 000,00	120,00
3	V ჯგ გრუნტებში ქვაბულის დამუშავება სანგრევი ჩაქუჩებით დატვირთვით ავტოთვითმცვლელებზე	100 $მ^3$	0,03	1 000,00	30,00
4	გრუნტის გატანა ნაყარში 2 კმ-მდე	ტ	211,75	10,00	2 117,50

1	3	4	6	7	8
5	გაბიონების მოწყობა, გაბიონის ყუთები ზომით 2X1X1მ 33ც, 1,5X1X1 22ც შესაკრავი მავთული 43.0კგ	$მ^3$	99	100,00	9 900,00
6	20-30სმ დიამეტრის ქვის შეგროვება ხელით	$მ^3$	99,00	100,00	9 900,00
7	გაბიონის ყუთების შევსება ქვით	$მ^3$	99,00	100,00	9 900,00
8	ყრილის მოწყობა ექსკავატორით, ხრეშოვანი მასალის (ბალასტი) ჩაყრა და მოსწორება	1000 $მ^3$	0,055	20 000,00	1 100,00
ჯამი ლოკალ. №5					**34 127,50**

საავტომობილო გზა „ხულო-ძირკვაძეები" კმ2+330-კმ3+215
ა/ბეტონის საფარის მოწყობა
ლოკალური ხარჯთაღრიცხვა №6
გზის სამოსის მოწყობა

№	სამუშაოების დასახელება	ერთ. განზ		ღირებულება	
			საპროექტო მოცულობა	ერთ.	სულ
1	3	4	6	7	8
1	ქვესაგები ფენის მოწყობა ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით სისქით საშუალოდ 15სმ (მოცულობა მრავლდება 1.22)	100 $მ^3$	5,93	2 000,00	11 860,00
2	საფუძვლის მოწყობა ფრაქციული ღორღით 0-40მმ სისქით 12სმ	1000 $მ^2$	3,862	3 000,00	11 586,00
3	ზედაპირის დამუშავება ბიტუმის ემულსია (1$მ^2$-0,6ლ)	ტ	2,25	1 000,00	2 250,00
4	საფარის ქვედა ფენის მოწყობა მსხვილმარცვლოვანი ფორო-ვანი ღორღოვანი ცხელი ასფალტობეტონისაგან სისქით 5 სმ	1000 $მ^2$	3,756	13 500,00	50 706,00
5	ზედაპირის დამუშავება ბიტუმის ემულსია (1$მ^2$-0,3ლ)	ტ	1,13	1 000,00	1 130,00

1	3	4	6	7	8
6	საფარის ზედა ფენის მოწყობა წვრილმარცვლოვანი მკვრივი ღორღოვანი ცხელი ასფალტობეტონისაგან სისქით 4 სმ	$მ^2$	3756,25	13,50	50 709,38
7	მისაყრელი გვერდულების მოწყობა ქვიშა-ხრეშოვანი მასალით	100 $მ^3$	0,80	2 000,00	1 600,00
ჯამი ლოკალ. №6					**129 841,38**

საავტომობილო გზა „ხულო-ძირკვაძეები" კმ2+330-კმ3+215
ა/ბეტონის საფარის მოწყობა
ლოკალური ხარჯთაღრიცხვა №7
შესასვლელებზე და მიერთებებზე გზის სამოსის მოწყობა

№№	სამუშაოების დასახელება	ერთ. განზ		ღირებულება	
			საპროექტო მოცულობა	ერთ.	სულ
1	3	4	6	7	8
1	საფუძვლის მოწყობა ფრაქციული ღორღით 0-40მმ სისქით 12 სმ	1000 $მ^2$	0,140	3 000,00	420,00
2	ზედაპირის დამუშავება ბიტუმის ემულსია (1$მ^2$-0,6ლ)	ტ	0,084	1 000,00	84,00
3	საფარის ქვედა ფენის მოწყობა მსხვილმარცვლოვანი ფორო-ვანი ღორღოვანი ცხელი ასფალტობეტონისაგან სისქით 5 სმ	1000 $მ^2$	0,140	13 500,00	1 890,00
4	ზედაპირის დამუშავება ბიტუმის ემულსია (1$მ^2$-0,3ლ)	ტ	0,042	1 000,00	42,00
5	საფარის ზედა ფენის მოწყობა წვრილმარცვლოვანი მკვრივი ღორღოვანი ცხელი ასფალტობეტონისაგან სისქით 4 სმ	$მ^2$	140,00	13,50	1 890,00
ჯამი ლოკალ. №7					**4 326,00**

1	3	4	6	7	8

საავტომობილო გზა „ხულო-ძირკვაძეები" კმ2+330-კმ3+215
ა/ბეტონის საფარის მოწყობა
ლოკალური ხარჯთაღრიცხვა №8
დამცავი ზღუდარების მოწყობა გრძ.მ

№	სამუშაოს დასახელება	ერთ. განზ		ღირებულება	
			საპროექტო მოცულობა	ერთ.	სულ
1	3	4	6	7	8
1	ქვაბულის მოწყობა, III ჯგ. გრუნტის დამუშავება ექსკავატორით V=0.25მ^3 დატვირთვით ავტოთვიმცლელებზე	1000 მ^3	0,020	10 000,00	200,00
2	III ჯგ. გრუნტის დამუშავება ხელით დატვირთვით ავტოთვიმცლელებზე	მ^3	3,00	10,00	30,00
3	V ჯგ გრუნტებში ფუნდამენტის ქვაბულის დამუშავება სანგრევი ჩაქუჩებით	100 მ^3	0,02	1 000,00	20,00
4	გრუნტის გატანა ნაყარში 2 კმ-მდე	ტნ	43,74	10,00	437,40
5	ზღუდარის მოწყობა ფოლადის ბაგირით 11DO-TM:	100 მ	2,08	8 000,00	16 640,00
6	ფუნდამენტის და საბჯენების მონოლითური ბეტონი B25 F200 W6	100 მ^3	0,0801	20 000,00	1 602,00
7	დგარების СД-6, СД-7, СД-8 შევსება მონოლითური ბეტონით B25 F200 W6	მ^3	1,82	200,00	364,00
8	დგარების წასაცხები ჰიდროიზოლაცია ბიტუმით 2 ჯერ	100 მ^2	1,010	200,00	202,00
9	დგარების СД-6, СД-7, СД-8 შედებვა	ტნ	1,14	50,00	57,00
10	ყრილის მოწყობა ხრეშოვანი მასალით (ბალასტი) ექსკავატორით V=0.25მ^3 ჩაყრა და მოსწორება	1000 მ^3	0,012	20 000,00	240,00
	ჯამი ლოკალ. №8				**19 792,40**

1	3	4	6	7	8

საავტომობილო გზა „ხულო-ძირკვაძეები" კმ2+330-კმ3+215
ა/ბეტონის საფარის მოწყობა
ლოკალური ხარჯთაღრიცხვა №9
გზის მონიშვნა

№№	სამუშაოების დასახელება	ერთ. განზ		ღირებულება	
			საპროექტო მოცულობა	ერთ.	სულ
1	3	4	6	7	8
1	სავალი ნაწილის ჰორიზონტალური მონიშვნა ორივე მხარეს ერთკომპონენტიანი (თეთრი) საგზაო ნიშანსადები საღებავით დამზადებული მეთილმეთაკრილატის საფუძველზე, გაუმჯობესებული ღამის ხილვადობის შუქდამაბრუნებელი მინის ბურთულაკებით ზომით 100-600 მკმ	კმ	1,770	845,00	1 495,65
	ჯამი ლოკალ. №9				**1 495,65**
	ჯამი ლოკალ. №1+№2+№3+№4+№5+№6+№7+8+9				**313 657,43**
	ზედნადები ხარჯები				**25 092,59**
	ჯამი				**338 750,02**
	გეგმიური დაგროვება				**20 325,00**
	ჯამი:				**359 075,02**
	გაუთვალისწინებელი სამუშაოები 3%				**10 772,25**
	ჯამი:				**369 847,27**
	დღგ				**66 572,51**
	სულ ჯამი				**436 419,78**

პრეტენდენტის ხელმოწერა და ბეჭედი:

ს/გზა ხულო ძირკვაძეები კმ2+330 - კმ3+215 ა/ბეტონის საფარის მოწყობა

სამუშაოების გეგმა გრაფიკი

#	სამუშაოს დასახელება	დღეები			ჯამი
		1-30	31-60	61-90	
1	მიწის ვაკისის აღდგენა მოწყობა	38 229,45			**38 229,45**
2	ანაკრები რკ.ბეტონის კიუვეტების მოწყობა	51 993,81	51 993,81		**103 987,62**
3	ლითონის მილების მოწყობა		19 369,23		**19 369,23**
4	ბეტონის პორტალური კედლის მოწყობა		6 021,48		**6 021,48**
5	გაბიონების მოწყობა		46 101,61		**46 101,61**
6	გზის სამოსის მოწყობა			175 398,04	**175 398,04**
7	შესასვლელებზე და მიერთებებზე გზის სამოსის მოწყობა			5 843,84	**5 843,84**
8	დამცავი ზღუდარების მოწყობა			26 736,84	**26 736,84**
9	გზის მონიშვნა			2 020,41	**2 020,41**
	ჯამი	**90 223,26**	**123 486,13**	**209 999,13**	**423 708,52**
	% სამუშაოს მოცულობიდან	**21,29**	**29,14**	**49,57**	**100,00**

შპს "გზების" დირექტორი: **ი. აბაშიძე**

ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა
უპირობო საბანკო გარანტია

№ CPB/19-004273 21.01.2019წ.

ვის: აჭარის ა.რ. საქვეუწყებო დაწესებულება საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტს

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ **შპს გზები, ს/კ 245425393** (შემდეგ – „მიმწოდებელი") გამოცხადდა გამარჯვებულად ხულოს მუნიციპალიტეტში ს/გზა "ხულო-ძირკვაძეები" კმ2+330-კმ3+215 მონაკვეთზე ასფალტბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოებზე გამოცხადებულ ტენდერში NAT180019210, წარმოგიდგენთ საბანკო გარანტიას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში თქვენთვის მიყენებული ნებისმიერი პირდაპირი ზიანის ანაზღაურება. ამასთან დაკავშირებით,

ვადასტურებთ, რომ:

ვართ გარანტი და ამ საბანკო გარანტიის გაცემით ვკისრულობთ უპირობო საგარანტიო ვალდებულებას, თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გადაგიხადოთ საგარანტიო თანხა **21 820.99 (ოცდაერთი ათას რვაას ოცი ლარი და ოთხმოცდაცხრამეტი თეთრი)** ლარის ფარგლებში, მიმწოდებლის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში. ამასთან, საგარანტიო ანაზღაურების მოთხოვნა უნდა წარმოგვედგინოს ამ საბანკო გარანტიის მოქმედების ვადაში: მოთხოვნის წარდგენის დღედ ითვლება მოთხოვნის უშუალოდ გარანტთან (მის.: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №3) ჩაბარების დღე; დაუშვებელია მოთხოვნის ელექტრონულად, ფაქსით ან სხვა საშუალებით წარდგენა.

ეს გარანტია ძალაშია 21.01.2019 -დან 30.01.2020-ის ჩათვლით.

ARDI INSURANCE

მაია ქამუშაძე
მომსახურებისა და მონიტორინგის
დეპარტამენტის უფროსი

Managerial department of motor roads and melioration systems of administrative sub-unit of adjara autonomous republic government

Digitally signed by Managerial department of motor roads and melioration systems of administrative sub-unit of adjara autonomous republic government
Date: 2019.01.24 11:58:56 +04'00'